დაძლევის სტრატეგიები და აღზრდის სტილი

ელენე გურგენიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ილიას უნივერისტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა განვითარების სხვადასხვა ტიპის დარღვევამ,ეს საკითხი მნიშველოვნად მივიჩნიეთ და ყურადღება შევაჩერეთ აუტიზმზე,რომელიც პროცენტული მაჩვენებლით ერთ-ერთია იმ დაავადებათა შორის,რომლის გავრცელების სიხშირეც წლიდან წლამდე მატულობს.2011 წლის მონაცემებით აუტიზმის გავრცელების სიხშირე 10 -ჯერ უფრო გავრცელებულია, ვიდრე წინა თაობაში,აღნიშნული ტენდენციის მიზეზი შეიძლება იყოს გამოკვლევის მეთოდების,DSM ის კრიტერიუმების და ამ დაავადების მქონე ბავშვების შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავება(Maener,durkin,2010;parner,2011)რადგან კვლევებით დადსტურებულია ადრეული ინტერვენციის დადებითი გავლენა,ამიტომ მნიშვნელოვანია მშობელმა ადრეულად მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება და შემდეგ გაუწიოს ბავშვს დახმარება,ჩართოს საჭირო სპეციალისტები და თვითონაც დაეხმაროს ბავშვს რეაბილიტაციაში.ხშირია შემთხვევები, როცა მშობლისთვის ბავშვის დიაგნოზი იწვევს სტრესს,რის შედეგადაც ისინი ზოგჯერ ირჩევენ არაეფექტურ გამკლავების სტრატეგიებს. ცხადია ეს თავისთავად უარყოფითად აისახება ბავშვის მომავალზე.ნაშრომში განხილულია აღზრდის სტილის და დაძლევის სტრატეგიების კორელაცია,

კვლევაში მონაწილეობას იღებდა სამი ჯგუფი,აუტისტური სპექტრის,ცერებრული დამბლის და ტიპიური განვითარების ბავშვების მშობლები.გამოვიყენეთ ორი სხვადასხვა კითხვარი ლაზარუსის დაძლევის სტრატეგიები(რ. ლაზარუსის და ს. ფოლკმანის (1988) ,,დაძლევის ხერხების კითხვარი'' [WOCQ] (The Ways Of Coping Questionnaire). და აღზრდის სამ სტილზე დაფუძნებული აღზრდის სტილის კითხვარი. (Based on: Robinson, C., Mandleco, B., Olsen, S. F., & Hart, C. H. (1995). Authoritative, authoritarian, and permissive parenting practices: Development of a new measure. Psychological Reports, 77, 819-830.) სტატისტიკური პროგრამის,SPSS-ის (SPSS -

Statistical Package for the Social Sciences. სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისთვის)

გამოყენებით,მონაცემების შედარების მიზნით კითხვარების დამუშავება მოხდა ცალ-ცალკე ჯგუფებს შიგნით,საგულისხმოა რომ დიაგნოზის გავლენა აღზრდის სტილზე და დაძლევის სტრატეგიებზე არ დადსტურდა,გამოიკვეთა მხოლოდ ტენდენცია აუტიზმის შემთხვევაში.“ავტორიტეტული „აღზრდის სტილის სასრგებლოდ.ასევე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მშობლების ჯგუფში გამოვლინდა ყველაზე„პოპულარული“დაძლევის სტრატეგია „დისტანცირება“. ასევე დადასტურდა კორელაციის არსებობა აღზრდის სტილსა და დაძლევის სტრატეგიებს შორის.